

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №289

2021 წლის 25 ნოემბერი

ქ. რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამის „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 16) განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 16) განხორციელების წესი<sup>1</sup>, დანართი №1-ის შესაბამისად.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ქავთარაძე

დანართი №1

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.

„ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“  
(პროგრამული კოდი 06 02 16) განხორციელების წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 06 02 16) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე, მცხოვრები და ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მატერიალურ დახმარების წესსა და პირობებს.

[1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის“ (პროგრამული კოდი: 06 02 16) განხორციელების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მატერიალურ დახმარების წესსა და პირობებს. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

[1<sup>1</sup>. გამონაკლისი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი რუსთავი. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

2. ქვეპროგრამის განმახორციელებელია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური (შემდგომში-„ქვეპროგრამის განმახორციელებელი“).



## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მსხვერპლი – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით, ან რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი);

ბ) თავშესაფარი – მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას;

გ) ბავშვიანი პირი – კანონიერი წარმომადგენელი-მეურვე/მზრუნველი; 12 კვირიდან ორსული.

დ) მოძალადე – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ;

ე) დაზარალებული – ფიზიკური პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღვა ფიზიკური, მორალური ან ქონებრივი ზიანი;

ვ) დაფინანსება – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამით“ განხორციელებული დაფინანსება.

## მუხლი 3. ქვეპროგრამის მიზანი და ამოცანა

1. ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა არის, ძალადობის მსხვერპლი ფიზიკური პირების გაძლიერების ღონისძიება, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობა სოციალიზაციის პროცესში.

2. ქვეპროგრამის ამოცანაა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მატერიალური დახმარება.

3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მხარდაჭერის პროცესი მოიცავს, ძალადობის მსხვერპლი ფიზიკური პირების განცხადებების განხილვას, მიზანშეწონილობის განსაზღვრასა და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას;

[3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების მხარდაჭერის პროცესი მოიცავს ძალადობის მსხვერპლი ფიზიკური პირების განცხადებების განხილვას და ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

## მუხლი 4. ქვეპროგრამის მოსარგებლენი და ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების



## მოცულობა

1. ქვეპროგრამის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) პირი რომელსაც მინიჭებული აქვს ძალადობის მსხვერპლის სტატუსი (აქტიური) შესაბამისი ორგანოს/სამსახურის მიერ, ან პირი რომელიც შესაბამისი ორგანოს/სამსახურის მიერ ცნობილი იქნა დაზარალებულად და ამასთანავე ფლობს სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ჩადენილი დანაშაული, ან მსხვერპლი, რომელიც ფლობს თავშესაფარში ყოფნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ხელშეკრულება და სხვა);

ბ) პირი რომელიც არის რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული/მუდმივი ბინადრობის მქონე, რომელსაც განცხადებით მომართვისას, მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის ან/და ძალადობის ფაქტის დადგომის მომენტში უფიქსირდება აქტიური რეგისტრაცია;

2. გამონაკლისს ამ მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით წარმოადგენს:

ა) მსხვერპლი, რომელმაც თავშესაფარი დატოვა განცხადებით მომართვამდე არაუგვიანეს 6 თვისა;

ბ) პირი რომელსაც აქვს სასამართლოს ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება მსხვერპლის მიმართ ჩადენილი დანაშაული, მოძალადე ცნობილი იქნა დამნაშავედ და გადაწყვეტილების გამოტანიდან არ არის გასული 6 (ექვსი) თვე.

[ბ) პირი, რომელსაც აქვს დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ და სასამართლოს ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება მსხვერპლის მიმართ ჩადენილი დანაშაული, მოძალადე ცნობილი იქნა დამნაშავედ და გადაწყვეტილების გამოტანიდან არ არის გასული 6 (ექვსი) თვე. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

[3. დაფინანსება გაიცემა ძალადობის მსხვერპლ პირზე ერთჯერადად, წელიწადში 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №41 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №100 - ვებგვერდი, 25.12.2023წ.

## მუხლი 5. განცხადების მიღების წესი

1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მისაღებად განმცხადებელი მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს და წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) მსხვერპლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

ბ) ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობა; კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა პირის რეგისტრაციის ადგილის შესახებ (სრული საინფორმაციო ბარათი);

დ) მუდმივი ბინადრობის მოწმობა (არსებობის შემთხვევაში);

ე) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი სამსახურის/ორგანოს მიერ ან/და შესაბამისი ორგანოს/სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც მოძალადე ცნობილი იქნა დამნაშავედ;

ვ) იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);



ზ) ძალადობის მსხვერპლი პირის სახელზე გახსნილი, საბანკო ანგარიშის ნომერი, გაცემული შესაბამისი ბანკის მიერ, კანონით დადგენილი წესით;

თ) თავშესაფარში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

[1. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მისაღებად განმცხადებელი მიმართავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს და წარადგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) მსხვერპლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი);

ბ) ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობა;

გ) კანონიერი წარმომადგენლობის ან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა პირის რეგისტრაციის ადგილის შესახებ (სრული საინფორმაციო ბარათი);

ე) მუდმივი ბინადრობის მოწმობა (საჭიროების შემთხვევაში);

ვ) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია უფლებამოსილი სამსახურის/ორგანოს მიერ ან/და შესაბამისი ორგანოს/სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ და სასამართლო ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც მოძალადე ცნობილ იქნა დამნაშავედ;

ზ) იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);

თ) ძალადობის მსხვერპლი პირის სახელზე გახსნილი საბანკო ანგარიშის ნომერი გაცემული შესაბამისი ბანკის მიერ, კანონი დადგენილი წესით;

ი) თავშესაფარში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**(ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №41 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №100 - ვებგვერდი, 25.12.2023წ.

## **მუხლი 6. ქვეპროგრამის განხორციელების მექანიზმი**

1. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქვეპროგრამით დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას ადგენს ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური.

2. ამ წესით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია გადაამოწმოს პროგრამით მოსარგებლე პირის მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ რეესტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.



4. ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი სამსახურის მიერ განმცხადებელს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №41 - ვებგვერდი, 25.11.2022წ.

## მუხლი 7. ქვეპროგრამის დაფინანსების წესი

1. დაფინანსება ხორციელდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში.

[1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ძალადობის მსხვერპლი ბავშვიანი პირების ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 06 02 16) ქვეპროგრამისთვის გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

2. ფინანსურ ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

[ 2. ფინანსურ ანგარიშსწორებას ახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერის შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. (ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან)]

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №100 - ვებგვერდი, 25.12.2023წ.

